



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 152

30 ივნისი
“ --- ” --- 2020 წ

ძ. თბილისი

ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 ივნისის №20.644.799 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული №01201622839-67 (№01201461232-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

გვამზადდეს, როგორც ყველაზე უფრო მისაღებია, რა თქმა უნდა, რომელიც

დადგინდება №14-39

only

J. maderianus

საზოგადოებრივ-საქმიანო ფორმა (საზო) — მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზოგადოებრივ-საქმიანო, კონკრეტული და სხვა საზოგადოებრივი გამოყენების ტერიტორიებს.

«*შობაძე, რომელიც დაიბადა სოფ. გვარამისში, გარდაიცვალა;*


[illegible]

14.9-2 - օճակներում ամրացված է խողովակի և խողովակի միջև:

1998-2000 թվականներում համախառն արտադրության ընդհանուր արժեքը (արտադրության արժեքը) հասնում է 100 միլիարդ ՀՀ դրամի:

[illegible][illegible]

29.01.2023



የጥቅም ስራ ማስፈጸሚያ

[illegible]

ნაკვეთის ფართობი	ზონის სახეობა	განაშენების კოეფიციენტი კ ₁	არსებული განაშენიანების კოეფიციენტი კ ₂	დადგენილი განაშენიანების კოეფიციენტი კ ₂	გამყვანების კოეფიციენტი კ ₃	დასაშვები სახეობა
12 653 მ ²	სსპ-2	0.7	4.6	3.1	0.2	მრავალფუნქციური კომპლექსი, სასტუმრო


4. *adversus*

საზოგადოებრივ-საქმიანო შიშს (სსშ) — მთავრეს თეორიას განსწავლული ტერმინების საზღვრებში, ანატიკული აქტიულობა, კონკრეტული და სხვა საზოგადოებრივი გამოყენების ტერმინები;

საზოგადოებრივ-საქმიანო ზონა 2 (მხ. 2) — მაღალი ინტენსივობის მქონე საზოგადოებრივ-საქმიანო ზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს (როგორც წესი 20-30 აკრებლად) და მოიცავს საზოგადოებრივ განაშენიანებას და მის დახმავარ ტერიტორიებს.

[illegible]

განმარტების შემთხვევაში, მფლობელის პასუხისმგებლობა			
1-1	0,5 - 0,7		კვანძოვანი
1-2	4,6		კვანძოვანი
1-3	0,2		კვანძოვანი
საგანმარტოების შემთხვევაში	-		კვანძოვანი
მ. შპს-ის საკუთრებაში	700		კვანძოვანი
ფინანსური და			კვანძოვანი
საგანმარტოების	30		კვანძოვანი
შემთხვევაში	30		კვანძოვანი
შემთხვევაში	-		კვანძოვანი
საგანმარტოების			კვანძოვანი
შემთხვევაში			კვანძოვანი



ნაჯივობის ფაქტობრივი	ზონის სახეობა	განამუქანებას კოეფიციენტი ^{კ1}	არსებული განამუქანებ კოეფიციენტი ^{კ2}	დადგენილი განამუქანებ კოეფიციენტი ^{კ2}	გამუქანებას კოეფიციენტი ^{კ3}	დასაშვები სახეობა
12 653 მ²	სს/ბ-2	0.7	4.6	3.1	0.2	მწვანეფენი/ქვიშა ჯიშები, სპ. ჭიქნარი

[illegible]



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 20.644.799

22 / ივნისი / 2020 წ.

ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს 2020 წლის 25 მაისს N01201461232-67 (N01201622839-67) განცხადებით მიმართა ჯონ დიამან ტეო დოდელანდმა (პ/601101125904) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან, ევროპის ქუჩაზე. იგი მოიცავს N01.19.30.001.261 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს. ტერიტორიის საერთო ფართობია 12 653 კვ.მ საპროექტო არეალი ოთხივე მხრიდან მოქცეულია გზებს შორის. კერძოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთით მოუყვება ევროპის ქუჩა, ხოლო სამი მხრიდან აკრავს კერძო საკუთრებაში არსებული (შ.პ.ს. „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“) გზები. აღნიშნული გზების მეორე მხარეს, დასავლეთით მდებარეობს აეროპორტის უმოქმედო ტერმინალი, ჩრდილოეთით კი პოლიციის შენობა-ნაგებობა. საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. საპროექტო არეალთან სატრანსპორტო კავშირი ხდება მხოლოდ ევროპის ქუჩის მხრიდან და მიუხედავად ამისა, ეს ტერიტორია, როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე საზოგადოებრივ-სატრანსპორტო საშუალებებისათვის წარმოადგენს ადვილად მისადგომს. საპროექტო არეალი მდებარეობს შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი შიდა კორიზონტალური ზედაპირის გავრცელების ფარგლებში და მასზე მოქმედებს ზღვის დონიდან +524მ სიმაღლის შეზღუდვა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2).

„ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N106 განკარგულებით აღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საპროექტო წინადადებით ტერიტორიის განვითარება იგეგმება მოწესრიგებული კეთილმოწყობილი სივრცეებით და საგზაო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი მრავალფუნქციური კომპლექსით (სასტუმროები, საავტომობილო ცენტრი, სწრაფი კვება, ბენზოგასამართი სადგური). საპროექტოდ გათვალისწინებულია 12 სართულიანი (44მ.) 4 თაუერის განთავსება სასტუმროსთვის, რომელიც ერთმანეთთან შეკავშირებულია დაბალსართულიანი სავაჭრო/ბიზნეს ცენტრით და წარმოადგენს ერთ შენობას, რომლის მიწისქვეშა 2 სართულზე დაგეგმილია მიწისქვეშა პარკირების მოწყობა. ასევე, დაგეგმილია საპროექტო წინადადებით ცალკე მდგომი 2 სართულიანი შენობის განთავსება.

საპროექტო წინადადება საჭიროებს ფუნქციური ზონის ცვლილებას, ვინაიდან, ვერ აკმაყოფილებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიხედვით დადგენილ ფუნქციური ზონებისათვის დასაშვებ სახეობას. საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საზოგადოებრივი ფუნქციით, საპროექტო ზონირებით მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და ხდება მისთვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის არასრული ათვისება კ2 - 3.1-ს.

განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალებით დადგენილი პარამეტრები:



კ1- 0.6-ით საანგარიშო ფართობით: 7 300 მ2

კ2 - 3.1-ით საანგარიშო ფართობით: 39 050 მ2

კ3 - 0.2 საანგარიშო ფართობით: 2 250 მ2

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო; ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუწეონ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 9 ივნისის N01201611924 წერილის თანახმად, სამსახური თანახმაა N01.19.30.001.261 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 29 მაისის N16-01201502072 წერილის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუწეონ განაშენიანებული ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

საპროექტო წინადადებით, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ფუჯინ სილქ ფროფერტის“ (ს/კ 405273421) შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (11.07.2018) დადგენილი ვალდებულების შესრულება მიზნით, გათვალისწინებულია კ-2=3.1, თუმცა არ ხდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-სთვის (სსზ-2) დადგენილი კოეფიციენტების სრულად ათვისება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, დასაშვებია საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016

წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ასევე N01201461232-67 (N01201622839-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაიგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღამეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 16-01201502072
თარიღი: 29/05/2020
პინი: 7388

ადრესატი: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული
განვითარების სამსახური
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს
ანდრია ბასილაიას

ბატონო ანდრია,

2020 წლის 25 მაისის თქვენი N 01201461232-67 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ევროპის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.30.001.261) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ:

ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 2 მარტის N 01200623123-67 წერილის პასუხად N 16-01200771863 წერილით.

წარმოდგენილი კვლევის დოკუმენტაცია არსებითად არ განსხვავდება შეთანხმებულისგან. შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01201611924

თარიღი: 09/06/2020

პინი: 5843

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 25 მაისის №01201461232-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე (ს/კ: 01.19.30.001.261; ფუნქციური ზონა: სატრანსპორტო ზონა 2 და სატრანსპორტო ზონა 1) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში დადგენილება) 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას 01.19.30.001.261 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი 4 ძირი ჯანსაღი მწვანე ნარგავი (№3 - ელდარის ფიჭვი; №14-16 - ჰიმალაის კედარი) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ 01.19.30.001.261 საკადასტრო ერთეულზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში შეფასებული 3 ძირი (№1 - D=50.6; №2 - D=48.1 და №4 - D=50.6) ელდარის ფიჭვის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1¹ პუნქტისა და 21¹ მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაიზღოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს თითოეულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული: 9 ძირი, ასევე გადასარგავი: 3 ძირი მწვანე ნარგავი და საპროექტოდ დასარგავი: 20 ძირი ვაკვასიური ცაცხვი, 15 ძირი ჰიმალაის კედარი, 29 ძირი იტალიური ფიჭვი, 20 ძირი ჩვეულებრივი იფანი და 14 ძირი კატალპა ჯამში - 110 ერთეული), სრულად ითვსება გ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (2 550 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით; (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თანახმაა 01.19.30.001.261 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

